

შპს „ოილინვესტი“

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოილინვესტი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ოილინვესტი“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (შემდეგში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული კონსოლიდირებული მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები გაცემული სესხების გაუფასურებასთან დაკავშირებით. გაცემული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად შეადგენს 3,506,095 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,890,611 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიური პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 4,633,386 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამისია თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება კანონმდებლობით.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;

მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის ზვიად ბალახაშვილი

ზვიად ბალახაშვილი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

13 ოქტომბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის ზვიად ბალახაშვილი

ზვიად ბალახაშვილი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

13 ოქტომბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო



შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	4	71,291,487	96,321,423
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	5	(72,506,093)	(88,683,164)
საერთო მოგება		(1,214,606)	7,638,259
ადმინისტრაციის დანახარჯები	6	(2,787,339)	(2,558,423)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(135,724)	(162,437)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(4,137,669)	4,917,399
ფინანსური შემოსავალი	8	537,550	422,692
ფინანსური ხარჯი	13	(4,813,155)	(3,228,026)
საკუთროს სხვაობით გამოწვეული მოგება/ (ზარალი), წმინდა		(3,719,989)	(2,740,135)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(56,914)	(916,774)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(12,190,177)	(1,544,844)
მოგების გადასახადი		-	(516)
წმინდა მოგება/ზარალი		(12,190,177)	(1,545,360)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება/ზარალი		(12,190,177)	(1,545,360)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:

გიორგი ფეხუაშვილი

გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	4	71,291,487	96,321,423
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	5	(72,506,093)	(88,683,164)
საერთო მოგება		(1,214,606)	7,638,259
ადმინისტრაციის დანახარჯები	6	(2,787,339)	(2,558,423)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(135,724)	(162,437)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(4,137,669)	4,917,399
ფინანსური შემოსავალი	8	537,550	422,692
ფინანსური ხარჯი	13	(4,813,155)	(3,228,026)
საკუთროს სხვაობით გამოწვეული მოგება/ (ზარალი), წმინდა		(3,719,989)	(2,740,135)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(56,914)	(916,774)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(12,190,177)	(1,544,844)
მოგების გადასახადი		-	(516)
წმინდა მოგება/ზარალი		(12,190,177)	(1,545,360)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება/ზარალი		(12,190,177)	(1,545,360)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:

გიორგი ფეხუაშვილი

გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	26,898,664	24,142,173
არამატერიალური აქტივები		108,042	1,249
გაცემული სესხები	8	3,390,881	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		30,397,587	24,143,422
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	4,633,386	26,634,689
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	9,797,789	8,448,865
გადახდილი ავანსები	11	2,018,276	3,052,191
გაცემული სესხები	8	424,784	2,890,611
ფული და ფულის ექვივალენტები	12	2,623,308	561,449
სულ მიმდინარე აქტივები		19,497,543	41,587,805
სულ აქტივები		49,895,130	65,731,227
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
დაუფარავი ზარალი		(20,061,204)	(7,871,026)
სულ საკუთარი კაპიტალი		(20,061,204)	(7,871,026)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	13	42,498,023	33,599,567
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		42,498,023	33,599,567
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	14,090,749	29,202,837
მიღებული მოკლევადიანი სესხები	13	11,882,048	10,207,825
საგადასახადო ვალდებულებები		1,027,958	182,206
გადასახდელი ხელფასები		63,335	238,961
სხვა ვალდებულებები		394,221	170,857
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		27,458,311	40,002,686
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		49,895,130	65,731,227

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:
გიორგი ფეხუაშვილი

გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	26,898,664	24,142,173
არამატერიალური აქტივები		108,042	1,249
გაცემული სესხები	8	3,390,881	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		30,397,587	24,143,422
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	4,633,386	26,634,689
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	9,797,789	8,448,865
გადახდილი ავანსები	11	2,018,276	3,052,191
გაცემული სესხები	8	424,784	2,890,611
ფული და ფულის ექვივალენტები	12	2,623,308	561,449
სულ მიმდინარე აქტივები		19,497,543	41,587,805
სულ აქტივები		49,895,130	65,731,227
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
დაუფარავი ზარალი		(20,061,204)	(7,871,026)
სულ საკუთარი კაპიტალი		(20,061,204)	(7,871,026)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	13	42,498,023	33,599,567
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		42,498,023	33,599,567
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	14,090,749	29,202,837
მიღებული მოკლევადიანი სესხები	13	11,882,048	10,207,825
საგადასახადო ვალდებულებები		1,027,958	182,206
გადასახდელი ხელფასები		63,335	238,961
სხვა ვალდებულებები		394,221	170,857
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		27,458,311	40,002,686
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		49,895,130	65,731,227

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:
გიორგი ფეხუაშვილი



გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	დაუფარავი ზარალი	სულ
1.12.2022	(6,325,666)	(6,325,666)
პერიოდის შედეგი	(1,545,360)	(1,545,360)
31.12.2023	(7,871,026)	(7,871,026)
პერიოდის შედეგი	(12,190,177)	(12,190,177)
31.12.2024	(20,061,204)	(20,061,204)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:

გიორგი ფეხუაშვილი

გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	დაუფარავი ზარალი	სულ
1.12.2022	(6,325,666)	(6,325,666)
პერიოდის შედეგი	(1,545,360)	(1,545,360)
31.12.2023	(7,871,026)	(7,871,026)
პერიოდის შედეგი	(12,190,177)	(12,190,177)
31.12.2024	(20,061,204)	(20,061,204)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:
გიორგი ფეხუაშვილი

გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პირდაპირი მეთოდი

	2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	80,356,901	87,372,713
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(3,456,374)	(2,699,524)
გადახდილი გადასახადები	(8,806,070)	(6,721,113)
გადახდილი ავანსები	(37,035)	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(57,567,564)	(87,222,235)
საოპერაციო საქმიანობისთვის გადახდილი სხვა თანხები	(209,244)	(203,937)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	10,280,614	(9,474,096)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხი	(12,993,180)	(322,703)
გაცემული სესხის დაფარვა	2,769,271	780,026
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(10,223,909)	457,323
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	33,697,841	17,817,234
გადახდილი სესხები	(29,203,625)	(8,190,463)
გადახდილი პროცენტი	(2,347,671)	(954,525)
საპროცენტო შემოსავალი	56,033	57,902
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	2,202,578	8,730,148
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	2,259,283	(286,625)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	561,449	923,454
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(197,424)	(75,380)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	2,623,308	561,449

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:

გიორგი ფეზუაშვილი

გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პირდაპირი მეთოდი

	2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	80,356,901	87,372,713
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(3,456,374)	(2,699,524)
გადახდილი გადასახადები	(8,806,070)	(6,721,113)
გადახდილი ავანსები	(37,035)	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(57,567,564)	(87,222,235)
საოპერაციო საქმიანობისთვის გადახდილი სხვა თანხები	(209,244)	(203,937)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	10,280,614	(9,474,096)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხი	(12,993,180)	(322,703)
გაცემული სესხის დაფარვა	2,769,271	780,026
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(10,223,909)	457,323
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	33,697,841	17,817,234
გადახდილი სესხები	(29,203,625)	(8,190,463)
გადახდილი პროცენტი	(2,347,671)	(954,525)
საპროცენტო შემოსავალი	56,033	57,902
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	2,202,578	8,730,148
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	2,259,283	(286,625)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	561,449	923,454
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(197,424)	(75,380)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	2,623,308	561,449

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:

გიორგი ფეზუაშვილი



გვერდებზე 9-24 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ოილინვესტი“ დაფუძნებულია 2017 წლის 25 მაისს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404538336. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ტარას შევჩენკოს ქ., N 1, საოფისე ფართი N12, სად. N1, სართ. 2

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ინვესტირებას ახორციელებს ნავთობპროდუქტების მწარმოებელ კომპანიებში. კომპანიას ჰყავს შვილობილი კომპანია სს „რუსთაველი“, რომელშიც განხორციელებული აქვს 100%-იანი ინვესტიცია. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ოილინვესტი“-სა და მისი შვილობილი კომპანიის სს „რუსთაველი“-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანიის დირექტორია გიორგი ფეხუაშვილი, 01020011172.

დამფუძნებლები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
თეა ნაფეტვარიძე, 01008003615	30.5%	33.5%
თეონა გვარამაძე, 35001024019	30.5%	33.5%
კახი ჟორდანია, 01031007031	33%	33%
ნიკოლოზ ბერიძე 01024006627	6%	0%

შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია

სს „რუსთაველი“ დაფუძნებულია 2016 წლის 12 თებერვალს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404508207. კომპანიის 100% იანი აქციონერია შპს „ოილინვესტი“ ს.კ. 404538336.

სს „რუსთაველი“-ს იურიდიული მისამართია : საქართველო, შევჩენკოს ქ N1, 4-ა.

სს „რუსთაველი“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს ნავთობპროდუქტებს. საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სს „რუსთაველის“ მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი პლატონ ნოზაძე (ს/კ 01026002611), და სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები არიან:

- თავმჯდომარე/წევრი დიმიტრი ნაფეტვარიძე 01008013865
- წევრი კახი ჟორდანია 01031007031
- წევრი რამაზ ფოლადიშვილი 01020009849

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის („ბას“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

კონსოლიდაციის საფუძველი

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ოილინვესტი“-სა და მისი შვილობილი კომპანიის სს „რუსთაველი“-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალური შემოსავალი და

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (მირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

საპენსიო შენატანები

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის

დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომაც აღირიცხება თვითღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე გაითვალისწინება კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები, რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის.

დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა ნაგებობები	20-30
მანქანა-დანადგარები	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები განეკუთვნება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია

ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	7
ლიცენზია	20

ჯგუფი 26.08.2019-დან ფლობს მიწისქვეშა მტკნარი წყლების სამეწარმეო მიზნით გამოყენების ლიცენზიას N10000934.

მარაგები

ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მფლობელთა გადაწყვეტილებით. ავტორიზებული და სრულად შევსებული კაპიტალი აღიარდება სააქციო კაპიტალის სახით კომპანიის კაპიტალში. აქციების ნომინალური ღირებულებაზე ნამეტი და მეწილეების მიერ განხორციელებული სხვა ფულადი კონტრიბუციები აღიარდება საემისიო კაპიტალად.

ამონაგების აღიარება

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, შემოსავლებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინება ერთეულში და

როდესაც დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

საქონლის რეალიზაცია საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია საქონლის საკუთრებაში არსებული რისკებისა და სარგებელის გადაცემის დროს, ჩვეულებრივ, საქონლის გაგზავნისას. თუ ჯგუფი თანახმაა საქონლის გადაზიდვაზე მითითებულ ადგილას, შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს დანიშნულების ადგილზე.

გაყიდვები აღირიცხება დღე-სა და ფასდაკლების გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. მომსახურების გაწევა, მომსახურების ღირებულება აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურებაა გაწეული, კონკრეტული ტრანზაქციის შესრულების ეტაპის მიხედვით რომელიც შეფასებულია ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, როგორც მთლიანი მომსახურება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით.

აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ.

მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საანგარიშგებო პერიოდში გაკეთებული შეფასებები გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლის გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელ გაყიდვებს და ისტორიულ გამოცდილებებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება. მარაგების გაუფასურების შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. გაუფასურების დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დამკველების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სასაქონლო მატერიალური მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა. ჯგუფი განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვეთისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

4. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი ბიტუმის ადგილობრივი რეალიზაციიდან	55,829,817	56,580,820
შემოსავალი საექსპორტო პროდუქციის მიწოდებიდან	15,461,670	28,118,538
შემოსავალი რეექსპორტის პროდუქციის მიწოდებიდან	-	11,622,065
	71,291,487	96,321,423

5. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
პირდაპირი ხელფასი	1,580,629	1,427,385
ბიტუმის ტრანსპორტირების ხარჯი	851,275	959,160
რეალიზებული ბიტუმის ღირებულება	51,463,183	52,235,164
რეალიზებული საექსპორტო პროდუქციის ღირებულება	17,097,264	15,748,805
რეექსპორტზე გატანილი პროდუქციის ღირებულება	-	11,145,407
პირდაპირი ცვეთის ხარჯი	1,432,299	743,808
სხვა პირდაპირი ხარჯები	81,443	6,423,434
	72,506,093	88,683,164

6. ადმინისტრაციული დანახარჯები

	2024	2023
მომსახურების ხარჯი	58,826	31,747
საკონსულტაციო ხარჯი	100,442	101,416
ცვეთის ხარჯი	173,185	131,870
საგადასახადო ხარჯი	250,054	196,773
ხელფასის ხარჯი	1,694,517	1,713,306
საწარმოს კვების ხარჯი	54,515	113,669
სხვა საოპერაციო ხარჯი	455,800	269,641
	2,787,339	2,558,423

7. ძირითადი საშუალებები

პირვანდელი ღირებულება	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	მიწა	ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ბალანსი 31.12.2022	11,058,978	2,624,046	2,405,000	17,935	164,443	742,673	17,013,076
შეძენა	-	-	-	-	-	10,091,732	10,091,732
შიდა მოძრაობა	8,617,912	1,644,967	-	89,677	78,663	(10,431,219)	-
ბალანსი 31.12.2023	19,676,891	4,269,013	2,405,000	107,612	243,106	403,186	27,104,808
შეძენა	-	-	-	-	-	4,467,198	4,467,198
შიდა მოძრაობა	4,157,822	604,221	-	47,559	-	(4,809,601)	-
ბალანსი 31.12.2024	23,834,712	4,873,234	2,405,000	155,171	243,106	60,783	31,572,006
აკუმულირებული ცვეთა							
ბალანსი 31.12.2022	(1,416,641)	(551,417)	-	(4,895)	(20,348)	-	(1,993,301)
პერიოდის ცვეთა	(657,323)	(276,411)	-	(7,054)	(28,545)	-	(969,334)
ბალანსი 31.12.2023	(2,073,964)	(827,828)	-	(11,949)	(48,894)	-	(2,962,635)
პერიოდის ცვეთა	(1,247,249)	(410,525)	-	(16,784)	(36,149)	-	(1,710,707)
ბალანსი 31.12.2024	(3,321,213)	(1,238,353)	-	(28,733)	(85,043)	-	(4,673,342)
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	9,642,338	2,072,629	2,405,000	13,040	144,095	742,673	15,019,775
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	17,602,927	3,441,185	2,405,000	95,663	194,212	403,186	24,142,173
საბალანსო ღირებულება 31.12.2024	20,513,500	3,634,880	2,405,000	126,438	158,063	60,783	26,898,664

ჯგუფის ძირითადი საშუალებები, მიწა და შენობები დატვირთულია იპოთეკით საფინანსო დაწესებულებიდან აღებული სესხის უზრუნველყოფისთვის

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

8. გაცემული სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გაცემული სესხის ძირი	3,390,881	2,392,554
მისაღები პროცენტი	424,784	498,057
	3,815,665	2,890,611

სესხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

კრედიტორი	დაწყების თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	თანხა ლარში 31.12.2024
შპს ტოტალ 100	13.07.2022	USD	15%	3,199,329
შპს ევრობიტუმბი	29.06.2021	USD	12%	90,800
შპს უნიგრავი	09.06.2020	USD	12%	71,978
შპს თბილგაზი	15.06.2020	USD	12%	28,773
შპს დიემჯი გრუპი	24.10.2024	GEL	10%	27
შპს დიემჯი გრუპი	18.10.2024	GEL	10%	101,945
შპს დიემჯი გრუპი	21.10.2024	GEL	10%	102,027
შპს დიემჯი გრუპი	09.12.2024	GEL	10%	105,570
შპს ოკასიო ნოვა 0.5 mln USD	04.03.2024	USD	15%	7,426
შპს ოკასიო ნოვა 1 mln USD	10.05.2024	USD	15%	33,596
შპს ოკასიო ნოვა 2 mln USD	16.04.2024	USD	15%	46,232
შპს ოკასიო ნოვა 5 mln USD	26.08.2024	USD	15%	27,961
				3,815,665

12/31/2023

კრედიტორი	დაწყების თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	თანხა ლარში 31.12.2023
იურიდიული პირი	13.07.2022	USD	15%	2,716,181
იურიდიული პირი	29.06.2021	USD	12%	83,477
იურიდიული პირი	09.06.2020	USD	12%	65,584
იურიდიული პირი	15.06.2020	USD	12%	25,370
				2,890,612

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი 2023 წელს შეადგენს 422,692 ლარს. ხოლო, 2024 წელს 537,550 ლარს.

9. მარაგები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მზა პროდუქცია	198,635	22,502,292
ნედლეული და მასალები	4,434,751	4,132,397
	4,633,387	26,634,689

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო მოთხოვნები	9,783,197	8,434,383
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ (ლარი)	14,592	14,482
	9,797,789	8,448,865

11. გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,018,276	3,052,191
	2,018,276	3,052,191

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	721,560	561,283
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში USD	1,901,748	166
	2,623,308	561,449

13. მიღებული სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მიღებული სესხი იურიდიული პირებისგან	2,919,914	1,898,170
მიღებული სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	19,639,010	14,365,700
მიღებული სესხი ფიზიკური პირებისგან	21,421,497	19,363,680
გადასახდელი პროცენტი	10,399,648	8,179,841
	54,380,069	43,807,391

სესხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

ხელშეკრულების ნომერი	დაწყების თარიღი	31.12.2024	31.12.2023
თიბისი ბანკი	18/08/2023	3,598,032	5,235,891
თიბისი ბანკი	25/05/2022	132,633	411,818
თიბისი ბანკი	30/11/2021	180,558	254,589
თიბისი ბანკი	19/05/2023	9,268,114	9,412,900
თიბისი ბანკი	29/03/2024	6,506,163	-
შპს დ.ე. ესთეით	7/16/2021	-	33,048
შპს საბაზო ფინანსები	7/25/2024	-	35,424
KNIGHTON INVESTMENTS	11/6/2019	1,391,023	2,000,668
გვარამაძე თეონა	7/16/1905	9,558,007	8,584,126
ნაფეტვარიძე დიმიტრი	12.02.2024	9,133,815	8,592,988

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ნაფეტვარიძე თეა	12.02.2024	11,327,746	961,577
ბერიძე ნიკოლოზი	2/12/2024	1,341,299	-
ქორდანია კახი	11/26/2021	1,942,678	7,322,781
		54,380,069	43,807,391

მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი 2023 წელს შეადგენს 3,228,026 ლარს. ხოლო, 2024 წელს 4,858,290 ლარს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულება	14,090,749	29,202,837
	14,090,749	29,202,837

15. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

ვალდებულებების შესრულება

ჯგუფს გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შესრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. ჯგუფი ანგარიშგების თარიღისთვის სრულად აკმაყოფილებს აღებულ ვალდებულებებს.

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს:

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

კავშირის ტიპი	ოპერაციის შინაარსი	ვალუტა	2024	2023
დირექტორი	ხელფასი და ბონუსი	ლარში	121,725	85,065
ფინანსური დირექტორი	ხელფასი და ბონუსი	ლარში	162,060	142,912
კომერციული დირექტორი	ხელფასი და ბონუსი	ლარში	315,556	290,835
აღმასრულებელი დირექტორი	ხელფასი და ბონუსი	ლარში	-	33,214
საერთო მმართველობა	საპროცენტო შემოსავალი	ლარი	41,050	-
აქციონერები	ფინანსური ხარჯი	ლარში	7,941,674	2,276,101

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კავშირის ტიპი	ოპერაციის შინაარსი	ვალუტა	31.12.2024	31.12.2023
საერთო მმართველობა	გაცემული სესხი	ლარი	115,214	-
აქციონერები	მიღებული სესხები	ლარი	23,504,292	26,423,052

16. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საქარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 13 ოქტომბერი. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემულისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

1. 2025 წელს შეიცვალა ჯგუფის მესაკუთრეების წილობრივი მაჩვენებლები შემდეგნაირად:

შპს „ოილინვესტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

დასახელება	წილი
თეა ნაფეტვარიძე, 01008003615	30.5%
თეონა გვარამაძე, 35001024019	30.5%
ნიკოლოზ ბერიძე, 01024006627	6%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დიემჯი გრუპი, 405345648	33%

შესაბამისად, ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა:

- თეა ნაფეტვარიძე: 30.5%
- თეონა გვარამაძე: 30.5%
- კახი ჟორდანია: 24.8%
- ნიკოლოზ ბერიძე: 6%

მმართველობის ანგარიშგება

შპს “ოილინვესტი”

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა.....	2
მმართველობითი სტრუქტურა და საკადრო პოლიტიკა.....	2
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა.....	4
სოციალური პასუხისმგებლობა.....	4
რისკები.....	5

საქმიანობის მიმოხილვა

შპს “ოილინვესტის” (საიდენტიფიკაციო კოდი: 404508207) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზრდილი პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ტარას შევჩენკოს ქ., N 1, საოფისე ფართი N12, სად. N1, სართ. 2.


კომპანიის ძირითადად ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც შპს “ოილინვესტი” ფლობს 100%-იან წილს სს „რუსთაველიში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404508207).

სს „რუსთაველის“ იურიდიული მისამართია: თბილისი, ტ. შევჩენკოს ქ. 1, სადარბაზო 1, სართული 1, ოფისი 4ა. საწარმოო ქარხანა მდებარეობს ქალაქ რუსთავეში, მშვიდობის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.

აღნიშნული კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ნავთობპროდუქტების წარმოებასა და მათ საბითუმო რეალიზაციას. კომპანიის ძირითად სარეალიზაციო პროდუქტს წარმოადგენს:

- **ბიტუმი** (სასაქონლო კოდი: 2713)
- **მაზუთი** (სასაქონლო კოდი: 2710)

რუსთავეში მდებარე ნავთობპროდუქტების ქარხანა აწარმოებს საქართველოს რეგიონების კლიმატური პირობების შესაბამისი უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა სახეობის ბიტუმს და უზრუნველყოფს მის მიწოდებას საქართველოს მასშტაბით 2020 წლიდან. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოებული მაზუთი პირველად 2023 წელს გაიყია საექსპორტო ბაზარზე.



მმართველობითი სტრუქტურა და საკადრო პოლიტიკა

ჯგუფის მმართველობითი სისტემა შემდეგნაირად არის ორგანიზებული:

- **სამეთვალყურეო საბჭო** – განიხილავს და აკონტროლებს კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებსა და გენერალური დირექტორის საქმიანობას;

- სს რუსთაველის
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა
-

ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლების რეგულარულ ტრენინგებს უსაფრთხოების ნორმებისა და წესების შესახებ, რათა ისინი გაეცნონ აუცილებელ პროტოკოლებს, იცოდნენ რისკების მართვა და უზრუნველყოფილ იყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო.

2022 წელს საშუალო რაოდენობა დასაქმებულების: 40

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

ბიტუმის საერთო გაყიდული მოცულობა [ტონა]:

2022 - 11,319

2023 - 47,126

2024 - 48,873

მიღებული შემოსავალი [ლარი]:

2022 - 14,132,085

2023 - 96,321,423

2024 - 71,291,487

2023 და 2024 წლებში ბიტუმის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად განპირობებულია კომპანიის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, რაც საშუალებას აძლევდა კომპანიას უფრო მეტი პროდუქტის ეფექტური წარმოების. აღნიშნულმა გაზარდა ჯგუფის კონკურენტუნარიანობა და შესაბამისად, გაზარდა მისი წილი ადგილობრივ ბაზარზე. როგორც უკვე წარმოდგენილი ბიტუმის გაყიდვების მოცულობებიდან ჩანს, 2023 და 2024 წლებში გაყიდული რაოდენობა დაახლოებით ოთხჯერ აღემატებოდა 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ბიტუმის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვების გარდა, ჯგუფის შემოსავალზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მათთვის ექსპორტზე გატანას, რომელიც პირველად განხორციელდა 2023 წელს და რამაც კომპანიისთვის შექმნა ახალი შესაძლებლობები.

2024 წელს ექსპორტირებული მათთვის მოცულობამ შეადგინა 14,816 ტონა.

სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფი აქტიურად უტარებს საკუთარ სოციალურ პასუხისმგებლობას როგორც საკუთარი განვითარების, ასევე ქვეყნისა და საზოგადოების კეთილდღეობის მხარდაჭერის ნაწილად. ის უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდებას ბაზარზე, რაც არა მხოლოდ კლიენტების საჭიროებების სრულყოფილად დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს, არამედ ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

გარდა ამისა, ჯგუფი უწყვეტად ზრდის თავისი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებს, რაც საშუალებას აძლევს მას პროცესები იყოს უფრო ეფექტური და მდგრადი. მისი მონაწილეობით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის გზების აღდგენა და გაუმჯობესება სხვადასხვა რეგიონში, ხელს უწყობს საზოგადოებრივ კომფორტს, ტრანსპორტის უსაფრთხოებას და ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ამ საქმიანობის შედეგად, ჯგუფი არა მხოლოდ ბაზრის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს, არამედ მნიშვნელოვან წვლილს ამატებს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს, პასუხობს საზოგადოების საჭიროებებს და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელებას.

რისკები

ჯგუფის ძირითად რისკებს მიეკუთვნება:

- ვალუტის სენსიტიურობა – შემოსავალი და ხარჯები დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე, რაც ზრდის კურსის ცვალებადობის რისკს;
- ნედლეულის იმპორტი – წარმოება დამოკიდებულია ნედლეულის იმპორტზე, რაც უკავშირდება მიწოდების შეფერხების რისკს;
- გეოპოლიტიკური რისკები – რეგიონულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მიწოდების უსაფრთხოებასა და წარმოებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:

გიორგი ფეხუაშვილი

რისკები

ჯგუფის ძირითად რისკებს მიეკუთვნება:

- ვალუტის სენსიტიურობა – შემოსავალი და ხარჯები დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე, რაც ზრდის კურსის ცვალებადობის რისკს;
- ნედლეულის იმპორტი – წარმოება დამოკიდებულია ნედლეულის იმპორტზე, რაც უკავშირდება მიწოდების შეფერხების რისკს;
- გეოპოლიტიკური რისკები – რეგიონულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მიწოდების უსაფრთხოებასა და წარმოებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 13 ოქტომბერი.

დირექტორი:

გიორგი ფეხუაშვილი _____

